“ყაირათს” ბედი სწყალობდა

ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 28 აგვისტო.

“ყაირათი” (ალმა-ათა) - “დინამო” (თბილისი) - 2:1 (1:0).

“ყაირათი”: ორდაბაევი, დიშლენკო, ჟუიკოვი, ბაიშაკოვი, კრუგლიხინი (მარკინი), მიხაილინი, დოლმატოვი, სოლდატოვი, პიუნოვსკი, როჟკოვი, სევიდოვი (ჩებოტარიოვი).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, მჭედლიშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფვიანი, გ. ნოდია, რეხვიაშვილი.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები - 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ღოღობერიძემ.

შუა აზიაში თბილისელ დინამოელთათვის ტურნე ერთობ უიღბლო გამოდგა. ტაშკენტში დიდი ანგარიშით წაგება და ისევ მარცხი, ამჯერად, ალმა-ათის “ყაირათთან”. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. თუ კი “ფახთაქორთან” მარცხს არავითარი გამართლება არა აქვს, “ყაირათთან” თბილისელებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა წაეგოთ: მათ დიდი მონდომებით ითამაშეს და ტერიტორიული უპირატესობაც მათს მხარეს იყო...

დაიწყო თუ არა თამაში, თბილისელებმა მთელი გუნდით შეუტიეს მეტოქის კარს. ამ საიერიშო ოპერაციებში თითქმის ყველა ფეხბურთელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით უჭირდათ მასპინძლებს ძოძუაშვილის იერიშების უვნებელყოფა. იგი ღრმა რეიდებს ასრულებდა და სახიფათო მომენტებს ქმნიდა “ყაირათის” კართან. ასევე აგრესიულად იყვნენ განწყობილი ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, ჭელიძე. პირველი 10 წუთის განმავლობაში ანგარიში სულ ცოტა ორჯერ უნდა გახსნილიყო. ძელს მოხვდა გ. ნოდიას თავური დარტყმა, ოდნავ აცდა მიზანს ყიფვიანის ძლიერად გაგზავნილი ბურთი, ორდაბაევთან პირისპირ გავიდა რეხვიაშვილი, მაგრამ კარი კვლავ აუღებელი დარჩა.

და ასეთ ვითარებაში ბურთი აღმოჩნდა... “დინამოს” კარის ბადეში.

მარცხენა მხრიდან კუთხურის მიწოდებისას ჩვენმა მცველებმა არასწორად ითამაშეს და პიუნოვსკიმ ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ეს მოხდა მე-16 წუთზე.

გატანილმა გოლმა თითქოს ახალი ენერგია შთაბერა “ყაირათს” და იგი უფრო გაბედულად ამოქმედდა, თუმცა საერთო უპირატესობას მაინც დინამოელები ინარჩუნებდნენ.

მეორე ტაიმი ზუსტად პირველის პროტოტიპი იყო: დინამოელები უტევდნენ და მასპინძლები რის ვაი-ვაგლახით იცავდნენ თავს, მთელი შემადგენლობით საკუთარი კარის სიახლოვეს იყვნენ ჩასაფრებული. თბილისელებმა მრავალსვლიანი კომბინაცია წამოიწყეს, ბურთი გადაეცა ხურცილავას, ამ უკანასკნელმა იგი ძოძუაშვილს გადააწოდა. თბილისელთა მცველმა გვერდი აუარა მეტოქეთა რამდენიმე მოთამაშეს და კარში იმ დროს დაარტყა, როცა ორდაბაევი მცველთა გარემოცვაში იყო და მარცხენა კუთხეში მიმავალ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა. ეს მოხდა 56-ე წუთზე.

ამის შემდეგ მინდვრის სრული ბატონ-პატრონნი თბილისელები იყვნენ. 61-ე წუთზე “ყაირათის” კარის სიახლოვეს ბურთი მკერდზე მიიღო ხურცილავამ და ალმაათელთა კარი მეორედ იქნა აღებული. მაგრამ რა ხდება? მსაჯი აჩერებს თამაშს და აღნიშნავს, თითქოს ხურცილავამ ხელით გაისწორა ბურთი... ჩვენი აზრით, მსაჯის ეს გადაწყვეტილება არასწორი იყო. ა. ივანოვს არც შეეძლო ხურცილავა დაენახა ამ

მომენტში, ვინაიდან იგი საკმაოდ შორს იდგა თბილისელისგან, რომელსაც გარს ეხვია მეტოქეთა მოზრდილი ჯგუფი.

გოლი ნაღდი იყო. მსაჯის ასეთმა გადაწყვეტილებამ გაანერვიულა დინამოელები, მათ უყურადღებოდ დატოვეს მარჯვენა ფრთაზე მყოფი ჩებოტარიოვი და ამ უკანასკნელმა დაუბრკოლებლად შეძლო მეორე გოლის გატანა. ყოველივე ეს ერთ სათამაშო ეპიზოდში მოხდა.

მატჩის დამთავრებამდე 22 წუთი იყო დარჩენილი. ამ ხნის განმავლობაში დინამოელები "ყაირათის" კარს არ მოსცილებიან. მარჯვენა ფრთიდან ყიფიანი, მარცხნიდან კი გ. ნოდია მუდამ იმარჯვებდნენ თავიანთ მეურვეებთან ბრძოლაში, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ გადიოდა "ყაირათის" კარში, თუმცა ორდაბაევი ხშირად სცდებოდა ბურთის მოგერიებისას. ერთ მომენტში ყაირათელთა მეკარემ წაიბორძიკა, მის საშველად ჟუიკოვი გაემართა. ამ დროს მაჩაიძე შეიჭრა "ყაირათის" საჯარიმო მოედანში, მიიღო ბურთი, კარში უნდა დაერტყა და... მსაჯმა აღნიშნა, თითქოს იგი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

ჩვენ აქ მსაჯის ორ მიუტევებელ შეცდომას გავუსვით ხაზი, მაგრამ თბილისელებს მაინც შეეძლოთ მატჩის მოგება, ან ერთი ქულის გადარჩენა, გაბედულად რომ ერტყათ მეტოქის კარში, იმ მომენტებში მაინც, როცა "ყაირათის" მეკარე დაბნეულ იყო და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა.

ზ. ჯაფარიძე.

"ლელო", 31 აგვისტო, 1971 წ.